

მომსახურების გაწევა

შესავალი

მომსახურების გაწევის ცნება, ანაზღაურების სანაცვლოდ მომსახურების გაწევად განხილული ცალკეული ოპერაციები, და ოპერაციები, რომლებიც არ განიხილება ანაზღაურების სანაცვლოდ მომსახურების გაწევად, განისაზღვრება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 160¹ მუხლით.

1. მაგალითი 1. (მომსახურების უსასყიდლოდ გაწევა საკუთარი საქმიანობის მიზნისგან განსხვავებული მიზნით)

პირობა:

ტაქსების კომპანიის დამფუძნებლის მეუღლე უსასყიდლოდ სარგებლობს ამ კომპანიის ტაქსის მომსახურებით, კერძოდ, ერთ-ერთი ტაქსი მას ემსახურება სახლიდან სამსახურში და პირიქით, ტრანსპორტირებით ერთი თვის განმავლობაში (22 სამუშაო დღე). ამ დროს, მოცემული დავალების შესრულებისათვის 1 დღის განმავლობაში:

- ჯამური მანძილი შეადგენს 30 კილომეტრს;
- ტრანსპორტირების სტანდარტული ფასია 32 ლარი დღე-ის გარეშე;
- საჭირო დრო შეადგენს საშუალოდ 1,5 საათს;
- ავტომობილის ხარჯი შეადგენს 0,4 ლარს 1 კმ-ზე;
- ტაქსის მძღოლის ანაზღაურება შეადგენს საათში 15 ლარს.

შეფასება:

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 160¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის და 164-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად:

- ანაზღაურების სანაცვლოდ მომსახურების გაწევად განიხილება დასაბეგრი პირის მიერ მომსახურების უსასყიდლოდ გაწევა საკუთარი საქმიანობის მიზნისგან განსხვავებული მიზნით, ხოლო
- დასაბეგრი თანხა არის მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯის ღირებულება.

მოცემულ შემთხვევაში, საანგარიშო პერიოდში დღე-ით დასაბეგრი თანხა განისაზღვრება ავტომობილსა და მძღოლის ანაზღაურებაზე გაწეული დანახარჯების ჯამით, რაც შეადგენს:

$$22 \times (30 \times 0.4 + 15 \times 1.5) = 759 \text{ ლარი.}$$